ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

unicef
for every child

მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები

სამოქალაქო განათლების დამხმარე
მოსწავლეებისთვის

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

unicef
for every child

სახელმძღვანელო მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ პროექტის ,,მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება ბავშვებისათვის“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით და ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ,,მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში.

PHR
PARTNERSHIP FOR HUMAN RIGHTS

@ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018 წელი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი არ ასახავს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

მართლმსაჯულება და ბავშვის უფლებები

სამოქალაქო განათლების დამხმარე
მოსწავლეებისთვის

სარჩევი

ბავშვის ძირითადი უფლებები 7

დავალება 1.1 9

დავალება 1.2 10

დავალება 1.3 13

ძალადობა ბავშვთა მიმართ 17

დავალება 2.1 19

დავალება 2. 2. 21

ბავშვის უფლებები პოლიციასთან ურთიერთობისას 25

დავალება 3.1 26

დავალება 3.2 28

დავალება 3.3: 30

დავალება 3.4 31

დავალება 3.5 31

დავალება 3.6 32

დანაშაული და საგამოძიებო მოქმედებები 33

დავალება 4.1 34

დავალება 4.2 34

მიმართვის უფლება ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს 39

დავალება 5.1 40

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ 43

დავალება 5.2 44

დავალება 5.3 45

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო
წარმოადგენს დამხმარე მასალას
ბავშვის უფლებათა გასაცნობად.
ეს წიგნი განკუთვნილია როგორც
თეორიული, ისე პრაქტიკული
საკითხების შესასწავლად. თქვენ
გაიგებთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ
კონკრეტულ სიტუაციებში, როცა
ადგილი აქვს თქვენი უფლებების
დარღვევის მცდელობას ან ირღვევა
თქვენი უფლებები. აგრეთვე, შეძლებთ,
გაიცნოთ ეს უფლებები თანატოლებსა
და უფროსებს.

წარმატებებს გისურვებთ!

თავი 1

ბავშვის ძირითადი უფლებები

ამ თავში გაეცნობით ბავშვის ძირითად უფლებებს. 1989 წელს მიიღეს ბავშვის უფლებათა კონვენცია. ეს არის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ბავშვის ყველა უფლება. საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ამ კონვენციის რატიფიცირება[1], ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ აიღო ვალდებულება დაიცვას ბავშვთა კონვენციაში აღწერილი ყველა უფლება.

სურ.1

სურ.2

1 რატიფიცირება - პროცესი, რომლის მეშვეობით სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო ადასტურებს მთავრობის მიერ შეთანხმების ხელმოწერას; ოფიციალური პროცედურა, რომლითაც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება შეთანხმების შესრულებაზე მასთან მიერთების შემდეგ.

დავალება 1.1

დაიყავით ოთხ ჯგუფად და გადაინაწილეთ ქვემოთ მოყვანილი დავალებები (თითო ჯგუფი ასრულებს თითო დავალებას)

ა) მუსიკალურმა სკოლამ გამოაცხადა კონკურსი გუნდში მოსწავლეთა მიღებაზე. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა მსურველს 7-დან 14 წლამდე. აღმოჩნდა, რომ სკოლა განთავსებულია სამსართულიან შენობაში, რომელსაც არც პანდუსი აქვს და არც ლიფტი.

უქმნის თუ არა მუსიკალური სკოლა ყველა მსურველს თანაბარ პირობებს კონკურსში მონაწილეობისთვის? თუ არა, რაში ხედავთ გამოსავალს?

ბ) სკოლამ უარი უთხრა ფერადკანიანი ბავშვის მშობელს მისი შვილის სკოლაში მიღებაზე იმ მიზეზით, რომ ის უცხო ქვეყნის მოქალაქეა. იმავდროულად მიიღო უცხო ქვეყნის თეთრკანიანი მოსწავლე.

სად ხედავთ ბავშვის უფლებათა დარღვევას ან დაცვას და კონკრეტულად რომელი უფლებების?

გ) ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანაში შემუშავდა საკვებით რამდენიმე სოფლის ბავშვთა დახმარების პროგრამა. ის ეხმარებოდა ოჯახურ მეურნეობებსა და სასკოლო ბაღებს განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გაიყვანეს სასმელი და სარწყავი წყალი. მანამდე ბავშვები მშობლებთან ერთად წყალს შორიდან ეზიდებოდნენ. პროგრამის მესვეურებს მიაჩნდათ, რომ ამით ისინი ბავშვთა არაერთ უფლებას იცავენ.

თქვენი აზრით, დაიცვეს თუ არა ბავშვთა უფლებები და თუ დაიცვეს, რომელი?

დ) მე-10 კლასში მოსწავლეებმა ქიმიის სწავლა მასწავლებლის მიერ მითითებული სახელმძღვანელოთი დაიწყეს. რამდენიმე კვირის შემდეგ გიორგის ხელში სხვა სახელმძღვანელო ჩაუვარდა და ძალიან მოეწონა. მან შესთავაზა მასწავლებელს ამ სახელმძღვანელოთი ესწავლებინა. მასწავლებელმა უპასუხა, რომ ეს საკითხი მოსწავლეებს არ ეხებათ. გიორგიმ იმავე წინადადებით მიმართა სკოლის დირექტორის მოადგილეს და განუმარტა, თუ რატომ ფიქრობდა ასე. მოადგილემ მოუსმინა და ურჩია, მიემართა საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის გამგისთვის, ვინაიდან ის უფრო უკეთ იცნობდა ამ საკითხს. კათედრის გამგემ მოუსმინა გიორგის, აუხსნა სკოლის მიერ სახელმძღვანელოების შერჩევის წესი და ის, თუ რატომ აირჩია სკოლამ კონკრეტული სახელმძღვანელო. ისიც უთხრა, რომ გიორგის არავინ უშლიდა

მისთვის მოსაწონი წიგნის გამოყენებას. გიორგის საქციელმა გაანაწყენა ქიმიის მასწავლებელი. გიორგის დედასაც მიაჩნდა, რომ მის შვილს ამ საკითხის წამოწევის უფლება არ ჰქონდა.

ჰქონდა თუ არა გიორგის იმის უფლება, რაც გააკეთა?

დავალება 1.2

დაიყავით ოთხ ჯგუფად (თითო ჯგუფი ასრულებს თითო დავალებას). გაეცანით ტექსტს.

ა) რას დაარქმევდით საქართველოს კანონიდან ზოგადი განათლების შესახებ[2] 47-ე და 48-ე მუხლებში აღწერილ მოსწავლეთა საქმიანობას?

მუხლი 47. მოსწავლეთა თვითმმართველობა (ადაპტირებული ტექსტი)

1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის ამ კანონისა და სკოლის წესდების თანახმად არჩეული ორგანო. იგი წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.

2. მე-7-მე-9 და მე-10-მე12 კლასების მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს.

3. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით (არ არის ცნობილი, ვინ ვის მისცა ხმა), კლასების მიხედვით წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობით.

სურ.3

2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248

4. მოსწავლეთა თვითმმართველობას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის მიერ არჩეული თავმჯდომარე.

მუხლი 48. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები (ადაპტირებული ტექსტი)

მოსწავლეთა თვითმმართველობა:

1. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ;
2. შეუძლია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;
3. ირჩევს თავის წარმომადგენელს (მოსწავლეს) სამეურვეო საბჭოში;
4. სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოთქვამს მოსაზრებებს გრანტის ხარჯვასთან დაკავშირებით;
5. წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით ქმნის სასკოლო კლუბებს.

ბ) განიხილეთ ტექსტი „დისციპლინური კომიტეტი“ (საქართველოს კანონიდან ზოგადი განათლების შესახებ). მოიფიქრეთ სიტყვა, რომელიც ასახავს მოსწავლეთა აქტივობას დისციპლინურ კომიტეტში. რატომ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ყოფნა დისციპლინურ კომიტეტში?

დისციპლინური კომიტეტი.

საჯარო სკოლაში დისციპლინის დარღვევის განხილვის მიზნით, სამეურვეო საბჭო ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით, შედის პედაგოგი, მშობელი და მე-10-მე-12 კლასების მოსწავლეები. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს ძირითადად ისეთ დარღვევებს, რომელიც ხდება სასწავლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე.

მოსწავლეს, რომელმაც ჩაიდინა გადაცდომა აქვს უფლება:

- დაცული იყოს მისი თავისუფლება და ღირსება;
- მიიღოს ინფორმაცია, რაში ედავებიან;
- მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაზე მივიდეს მშობელთან ერთად;
- დაცული იყოს ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენებისგან, რომელიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას.
- ისარგებლოს დუმილის უფლებით, ანუ არ ისაუბროს, არ გასცეს პასუხი არც ერთ დასმულ შეკითხვას. დუმილის უფლების გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ მან დაარღვია დისციპლინა.

გ) გაეცანით პირადი გასინჯვის წესებს (საქართველოს კანონიდან ზოგადი განათლების შესახებ). რას ემსახურება ეს წესები?

პირადი გასინჯვის წესები.

ხშირად დისციპლინის დარღვევის დროს გამოყენებულია რაიმე საგანი. ამ საგნის აღმოჩენის და მოსწავლეთათვის ჩამორთმევის მიზნით ტარდება მოსწავლის პირადი გასინჯვა, რასაც თავისი წესები აქვს.

– ვის შეუძლია ჩაატაროს პირადი გასინჯვა?

მოსწავლის პირადი გასინჯვა შეუძლია მხოლოდ სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ პირს ან მანდატურს.

– რა შემთხვევაში აქვს მანდატურს უფლება ჩაატაროს პირადი გასინჯვა?

მანდატურს უფლება აქვს ჩაატაროს პირადი გასინჯვა სკოლის დირექტორის ან სკოლის დირექციის წარმომადგენლის ნებართვით ან/და ზედამხედველობით.

– შეიძლება თუ არა რამდენიმე მოსწავლის ერთობლივად გასინჯვა?

არა.

– შეიძლება თუ არა მოსწავლის გაუფრთხილებლად გასინჯვა?

არა. პირმა, რომელსაც გასინჯვის უფლება აქვს, უნდა გააფრთხილოს მოსწავლე პირადი გასინჯვის შესახებ .

დ) წაიკითხეთ ტექსტი „ორი პრობლემა.“ რა გადაწყვეტილებას სთავაზობთ თეოს მშობლებს? ირღვევა თუ არა თქვენი გადაწყვეტილების შედეგად ვინმეს უფლებები?

ორი პრობლემა

თეოს მშობლები ფიქრობენ სამუშაოდ წასვლას ერთ დაბალგანვითარებულ ქვეყანაში ხანგრძლივად. თეო მეშვიდეკლასელია და მისი წაყვანაც უნდათ. გოგონასაც არ უნდა ნათესავებთან დარჩენა და მშობლებთან ერთად სურს ყოფნა. ოჯახის წინაშე დადგა ორი პრობლემა: ქვეყანაში არ არის სკოლა, სადაც თეო შეძლებს სწავლას, კლიმატი მეტისმეტად ნესტიანია და საფრთხეს შეუქმნის გოგონას ჯანმრთელობას. პირველი პრობლემის გადასაჭრელად გადაწყდა, რომ თეოს მშობლები დაეხმარებიან სწავლაში და ყოველი წლის ბოლოს ის ექსტერნის წესით ჩააბარებს გამოცდებს, მაგრამ მეორე პრობლემის გადაჭრის გზა ვერ მოძებნეს.

სურ.4

დავალება 1.3

გადაიხაზეთ და შეავსეთ მოცემული ცხრილი შესაბამისი დებულებებით ბავშვის უფლებათა კონვენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან. რა დასკვნის გამოტანა შეგიძლიათ?

უფლება	ბავშვთა უფლებების კონვენციის დებულება	დებულება საქართველოს კანონმდებლობიდან

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად.

   მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას მიმართავენ ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრების სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებების ან მრწამსის საფუძველზე ყველა ფორმის დისკრიმინაციის ან დასჯისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად. (ბავშვის უფლებათა კონვენცია. მუხლი 2)

2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3. პ.4).

3. საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. (საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 2).

4. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3).

5. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი12).

6. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 14).

7. მოსწავლეს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა

(საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 14, პ.2).

8. მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს მისი საუკეთესო ინტერესი (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 11, პ.2)

დაიმახსოვრეთ!

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოიცავს ბავშვის ყველა უფლებას.

ძირითადი უფლებებია: დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ცხოვრებისთვის ადეკვატური პირობების არსებობა.

აქედან გამომდინარეობს სხვა უფლებები: ძალადობისგან დაცვის, განათლების, განვითარების, მონაწილეობა და სიცოცხლის და განვითარების უფლება.

ეს უფლებები დაცული უნდა იყოს სახლში, სკოლაში, ქუჩაში – ყველგან, სადაც ბავშვი შეიძლება იყოს. საქართველოს კანონმდებლობა ასახავს ბავშვის უფლებებს.

აირჩიეთ დამატებით საკითხავი:

1. ჰექტორ მალო „უსახლკარო“ https://www.scribd.com/document/171113054/
2. ჩარლზ დიკენსი „ოლივერ ტვისტის თავგადასავალი“
3. ნოდარ დუმბაძე „სისხლი“ http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/sisxli.htm
4. ვიქტორ ჰიუგო „გავროში“ , ნაწყვეტი რომანიდან „საბრალონი“ https://www.slideshare.net/samkitxveloonline/ss-48477742
5. ვიქტორ ჰიუგო „კოზეტი“ , ნაწყვეტი რომანიდან „საბრალონი“.

მიაქციეთ ყურადღება ბავშვის უფლებების დაცვას ან დარღვევას. დაფიქრდით: როდის შეიქმნა ეს ნაწარმოები, სად ხდება აღწერილი მოვლენები? რა დასკვნები შეგიძლიათ გააკეთოთ? რატომ შეიქმნა? რით დაგეხმარათ?

გაკვეთილი 2

ძალადობა ბავშვთა მიმართ

ამ თავში საუბარია ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებში მათთვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობებზე.

ბავშვის უფლებათა კონვენცია იცავს ბავშვს ყველა სახის ძალადობისაგან.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი წარმომადგენლის[3] ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით. ეს ზომები გულისხმობს შესაბამისი დებულებების შეტანას კანონებში, მოსახლეობის ინფორმირებას ბავშვთა უფლებების და ძალადობისგან მათი დაცვის თაობაზე და სხვა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით[4] განსაზღვრულია იმ დაწესებულებების ვალდებულებები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ბავშვის დაცვაზე ძალადობისგან. ყველა ამ დაწესებულების ვალდებულებაა დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე და აცნობონ სოციალური მომსახურების სააგენტოს. გარდა ამისა, თითოეულ მათგანს თავის კონკრეტული ვალდებულებებიც გააჩნია ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში.

ამ დაწესებულებებს შორის არის პოლიცია, რომელიც ვალდებულია, დაუყოვნებლივ იმოქმედოს, რათა დაეხმაროს ბავშვს და დაიცვას ის მომხდარი ან მოსალოდნელი ძალადობისგან, სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მთავარ დაწესებულებას ქვეყანაში და სკოლა, რომელიც ვალდებულია, მოსწავლის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს მასზე რეაგირება.

3 კანონიერი წარმომადგენელი – **პირი, რომელიც კანონის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობაში. კანონისმიერი წარმომადგენლობის მაგალითია მშობელი, როგორც არასრულწლოვანი შვილის კანონიერი წარმომადგენელი და მხარდამჭერი, მეურვე ან მზრუნველი – მშობლის არარსებობის შემთხვევაში და ა.შ. კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანის ინტერესების დასაცავად მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში.**

4 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე.

დავალება 2.1

დაალაგეთ იმ თანმიმდევრობით, როგორც მიგაჩნიათ საჭიროდ. ამ დავალებებს ერთი სწორი პასუხი არ გააჩნია. მთავარია, ახსნათ, თუ რატომ ირჩევთ ამა თუ იმ თანმიმდევრობას.

ა) ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში პოლიციის ვალდებულების ამსახველი წინადადებები. პოლიციელი ვალდებულია:

- შეისწავლოს და შეაფასოს მდგომარეობა;
- თუ ბავშვს ძალადობის შედეგად ესაჭიროება სამედიცინო დახმარება, ბავშვი გადაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში;
- გაესაუბროს ბავშვს, მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მეზობლებს და ნათესავებს;
- ძალადობის მსხვერპლ ბავშვს გაესაუბროს განცალკევებით;
- ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს ადგილზე და გაეცნოს იქ მყოფ პირებს;
- იმ შემთხვევაში, თუ ძალადობა მოხდა ოჯახში და ბავშვის იქ დატოვება საფრთხეს შეუქმნის მის უსაფრთხოებას, ხოლო სოციალური მუშაკი მიიღებს გადაწყვეტილებას გამოიყვანოს ბავშვი ოჯახიდან, პოლიციელი უზრუნველყოფს ბავშვის გადაყვანას თავშესაფარში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში;
- ბავშვის მოძალადისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ან შემაკავებელი ორდერის[5] გამოცემის შესახებ;
- ძალადობის მსხვერპლ ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;

ბ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სოციალური სააგენტოს ვალდებულების ამსახველი წინადადებები:

- თუ ძალადობის მსხვერპლ ბავშვს არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ეხმარება ბავშვს მის მიღებაში;
- შეაფასოს ბავშვის მდგომარეობა და დაგეგმოს აუცილებელი ნაბიჯები;

5 **დამცავი და შემაკავებელი ორდერები -** ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანის დაცვის საშუალება, რომელიც გულისხმობს ბავშვის განცალკევებას მოძალადე მშობლისგან, კანონიერი წარმომადგენლისგან და ნებისმიერი სხვა მოძალადისგან. დამცავი ორდერი მოქმედებს 6 თვემდე ვადით, ხოლო შემაკავებელი - 1 თვემდე ვადით. დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს თავად არასრულწლოვანს.

- იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დატოვება ოჯახში, ემუქრება მის უსაფრთხოებას, მიიღოს ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის გადაწყვეტილება და პოლიციასთან ერთად გადაიყვანოს თავშესაფარში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში;

- თუ ბავშვს ძალადობის შედეგად ესაჭიროება სამედიცინო დახმარება, ვალდებულია ბავშვი გადაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში;

- შეაგროვოს ინფორმაცია ძალადობის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია მიიღოს ბავშვისგანაც;

გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სკოლის ვალდებულების ამსახველი წინადადებები:

- სააგენტოსთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

- საჭიროების შემთხვევაში (ძალადობის დადასტურების ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში), პოლიციისა თუ სააგენტოს ინფორმირება;

- ადგილზე შემთხვევის გაანალიზება (სკოლის ადმინისტრაცია, მათ შორის მანდატურის სამსახური სწავლობს ბავშვის მიმართ ძალადობას ფაქტს)

- სკოლაში უნდა იყოს პირი, ვისაც მოსწავლემ შეიძლება მიმართოს ძალადობის შემთხვევაში.

დ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულების (მათ შორის სოფლის ექიმის) ვალდებულების ამსახველი წინადადებები:

- აცნობოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს ტელეფონით იმავე დღეს ან, თუ განთავსება მოხდა არასამუშაო საათებში, მომდევნო სამუშაო დღეს;

- დაარეგისტრიროს ბავშვი სარეგისტრაციო ჟურნალში;
- აღმოუჩინოს ბავშვს სამედიცინო დახმარება.

ბავშვს, რომლის მიმართ მოხდა ძალადობა, შეუძლია მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, პოლიციას ან სხვა დაწესებულებებს.

ქვემოთ (გვ. 23) მოცემულია იმ დაწესებულებათა ტელეფონის ნომრები, ვისაც შეუძლიათ მიმართონ საჭიროების შემთხვევაში.

დავალება 2. 2.

1. დამსვენებლები ისვენებენ ბათუმის პლაჟზე. რამდენიმე მათგანმა ყურადღება მიაქცია ოჯახს (დედა, მამა, შვილი). მათ დაინახეს, რომ მამამ რამდენჯერმე უყვირა ბავშვს და ერთხელ შეაჯანჯღარა ის. დამსვენებლებს შორის გაიმართა კამათი, საჭირო იყო თუ არა ჩაერევა.

   – რა არგუმენტებს მოიყვანს ჩარევის მომხრე?

   – კონკრეტულად რა ფორმით შეიძლება ჩაერიოს ჩარევის მომხრე?

   – რა შედეგს ელოდება ჩარევის მომხრე?

   – რა არგუმენტებს მოიყვანს ჩაურევლობის მომხრე?

   – რა შედეგს ელოდება ჩაურევლობის მომხრე?

   – შეგიძლიათ გადაინაწილოთ მომხრეების და მოწინააღმდეგეების როლები.

2. დაჩი სწავლობს ქუთაისის სკოლაში. გაკვეთილების შემდეგ მას ყოველდღე ხვდებიან მასზე ცოტა უფროსი ბიჭები და სძალავენ ფულს. რა უნდა მოიმოქმედოს დაჩიმ? რა შედეგს შეიძლება მიაღწიოს მან?

3. თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე მეათე კლასელი ეკა შეესწრო სურათს: ქალს ძალით სადღაც მიჰყავს 4 წლის ბიჭი, რომელიც ტირის და ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს. ეკამ არ იცის, ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის. მოიმოქმედებს თუ არა ეკა რამეს? თუ მოიმოქმედებს რას?

4. მარიამი ცხოვრობს კახეთის ერთ-ერთ სოფელში. თანაკლასელმა გოგონამ გაანდო მას თავისი წუხილი იმის შესახებ, რომ მშობლები მე-9 კლასის დამთავრების შემდეგ გათხოვებას უპირებენ. შეუძლია თუ არა მარიამს მისი დახმარება? თუ შეუძლია, როგორ?

დაიმახსოვრეთ!

სახელმწიფოს აქვს ვალდებულება დაიცვას ყველა ბავშვი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობისგან და უგულებელყოფისაგან.

ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს სოციალური დაცვის სააგენტოს, არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ბავშვის უფლებათა საკითხებზე მუშაობს ან პოლიციას (იხ. სია გვ. 23). ამ ორგანიზაციებისთვის მიმართვა თვით ძალადობის მსხვერპლ ბავშვსაც შეუძლია.

ძალადობის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე პოლიცია ვალდებულია გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, გაესაუბროს ბავშვს (განცალკევებით), მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მეზობლებს და ნათესავებს, ძალადობის მსხვერპლ ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, შეაფასოს მდგომარეობა, საჭიროების შემთხვევაში გადაიყვანოს ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში. თუ ბავშვის დატოვება ოჯახში, ემუქრება მის უსაფრთხოებას, სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით, უზრუნველყოფს ბავშვის გადაყვანას თავშესაფარში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში; ამ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ.

ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მთავარი დაწესებულება ქვეყანაში არის სოციალური მომსახურების სააგენტო. ბავშვზე განხორციელებული ძალადობის დროს ის ვალდებულია: შეაგროვოს ინფორმაცია ძალადობის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია მიიღოს ბავშვისგანაც, შეაფასოს ბავშვის მდგომარეობა. თუ ბავშვს ძალადობის შედეგად ესაჭიროება სამედიცინო დახმარება, ვალდებულია ბავშვი გადაიყვანოს სამედიცინო დაწესებულებაში, თუ ბავშვის დატოვება ოჯახში, ემუქრება მის უსაფრთხოებას, მიიღოს ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის გადაწყვეტილება და პოლიციასთან ერთად გადაიყვანოს თავშესაფარში ან სხვა სპეციალურ დაწესებულებაში; თუ ძალადობის მსხვერპლ ბავშვს არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაეხმაროს ბავშვს მის მიღებაში.

ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ადგილზე გაანალიზოს ძალადობის ფაქტი, საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია პოლიციასა და სააგენტოს. სააგენტოსთან თანამშრომლობით დააწესოს ზედამხედველობა ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე.

სამედიცინო დაწესებულების (მათ შორის სოფლის ექიმის) ვალდებულებაა ბავშვზე ძალადობის განხორციელების დროს აღმოუჩინოს მას სამედიცინო დახმარება, დაარეგისტრიროს და აცნობოს სოციალური დაცვის სააგენტოს.

სასარგებლო ბმულები/ საკონტაქტო ინფორმაცია

აღნიშნულ თავში მოცემულია ყველა მნიშვნელოვანი ორგანიზაციის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა ბავშვს გამოადგეს უფლებების დაცვის პროცესში.

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

თბილისი
ნინო რამიშვილის 6, თბილისი, 0179
ტელეფონი: 032234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875
ფაქსი: +99532 2913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
ცხელი ხაზი: 1481

ოზურგეთი
დავით აღმაშენებლის ქ. 9
ტელეფონი: 0496273053
მობილური: 593444427

მარნეული
რუსთაველის ქ. 51
ტელეფონი: 0357221970
მობილური: 595525357

ახალქალაქი
ჭავჭავაძის ქ. 4
ტელეფონი: 0362223283
მობილური: 577122770 / 591968882

გორი
სამების ქ.1
ტელეფონი: 0370270549
მობილური: 551661477

ზუგდიდი
კოსტავას ქ. 58
ტელეფონი: 0415223611
მობილური: 595525356

ქუთაისი
რუსთაველის გამზირი 18
ტელეფონი: 0431253350
მობილური: 577553381

ბათუმი
მაზნიაშვილის 9
ტელეფონი: 0422270544
მობილური: 595807843

თელავი
ჩოლოყაშვილის 3
ტელეფონი: 0350279927
მობილური: 591883538

2. იურიდიული დახმარების სამსახური

უფასო იურიდიული დახმარების მიღება შესაძლებელია შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით:

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: თამარ მეფის გამზირი 14, თბილისი, 0112
ტელეფონი: 0322954474 / 2954475
მობილური: 595364410
ელ-ფოსტა: skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. 51
ტელეფონი: 0322513873
მობილური: 595901405
ელ-ფოსტა: abuchukuri@legalaid.ge

კახეთის-თელავის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: თელავი, ვარდოშვილის ქ. 7
ტელეფონი: 0350271538
მობილური: 595901707
ელ-ფოსტა: ltchuniashvili@legalaid.ge

კახეთის-სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: სიღნაღი, აღმაშენებლის ქ. 7
ტელეფონი: 0355231082
მობილური: 599937973
ელ-ფოსტა: tgurashvili@legalaid.ge

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: რუსთავი, ბათუმის ქ. 17
ტელეფონი: 0341241425
მობილური: 595901706
ელ-ფოსტა: ijamaspishvili@legalaid.ge

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: გორი, სამეფოს ქ. 54
ტელეფონი: 0370279556
მობილური: 595901704
ელ-ფოსტა: gjeiranashvili@legalaid.ge

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. 17
ტელეფონი: 0362220735
მობილური: 599722176
ელ-ფოსტა: dzaridze@legalaid.ge

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: ზესტაფონი, წერეთლის ქ. 11
ტელეფონი: 0492253637
მობილური: 595364441
ელ-ფოსტა: gberadze@legalaid.ge

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: ქუთაისი, სადგურის მოედანი 3

ტელეფონი: 0431253411/253412
მობილური: 595901700
ელ-ფოსტა: gsiordia@legalaid.ge

სამეგრელოს იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას ქ. 24
ტელეფონი: 0415253472
მობილური: 595901702
ელ-ფოსტა: rkeidia@legalaid.ge

სამეგრელოს იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: ფოთი, გორგასლის წ. 22
ტელეფონი: 0493223234
მობილური: 595901703
ელ-ფოსტა: nbodjgua@legalaid.ge

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო
მისამართი: ბათუმი, პუშკინის 145
ტელეფონი: 0422222489
მობილური: 595901701
ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი
მისამართი: ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1, პირველ სართული
ტელეფონი: 0496275992
მობილური: 595308850
ელ-ფოსტა: imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი
მისამართი: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. 24
მობილური: 595308847
ელ-ფოსტა: tchikvaidze@legalaid.ge

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი
მისამართი: ახალქალაქი, თამარ მეგის 44
მობილური: 591996597
ელ-ფოსტა: vbalakhadze@legalaid.ge

წალკის საკონსულტაციო ცენტრი
მისამართი: წალკა, არისტოტელეს 22
მობილური: 599090091
ელ-ფოსტა: dgogichaishvili@legalaid.ge

მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი
მისამართი: მარნეული, რუსთაველის 73
მობილური: 551424400

მესტიის საკონსულტაციო ცენტრი
მისამართი: მესტია, სეტის მოედანი 19
მობილური: 551201947/599294477
ელ-ფოსტა: ajaparidze@legalaid.ge

საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი
მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ. 4
მობილური: 551449633
ელ-ფოსტა: inozadze@legalaid.ge

3. სოციალური მომსახურების სააგენტო
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი - 1505;
ელექტრონული ფოსტა: info@ssa.gov.ge

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი
არასრულწლოვანს შეუძლია მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, თუ ფიქრობს, რომ ადგილი ჰქონდა მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას მისი ნებართვის გარეშე.
მისამართი: თბილისი, ნ. ვაჩნაძის 7, 0105
ტელეფონი: 0322421000
ელ-ფოსტა: office@pdp.ge

6. პოლიციის მიერ უფლებების დარღვევის შემთხვევაში არასრულწლოვანს შეუძლია:

- გაასაჩივროს პოლიციის ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურორთან ან სასამართლოში;
- დარეკოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე - 126;
- მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით ან დაუკავშირდეს ცხელი ხაზის საშუალებით - 1481;
- მიმართოს ბავშვის უფლებების თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

7. ბავშვის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივი საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები

არასრულწლოვანს შეუძლია კონსულტაციებისა და სამართლებრივი დახმარების მიღების მიზნით მიმართოს ბავშვის უფლებების თემაზე მომუშავე საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს:

1. „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR)
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. 1, კორპუსი 2, სადარბაზო 1, ბინა 26;
ტელეფონი: 0322331356
ელ-ფოსტა: info@phr.ge

2. კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის
ტელეფონი: 0322390071
ელ-ფოსტა: info@ccy.ge

გაკვეთილი 3

ბავშვის უფლებები პოლიციასთან ურთიერთობისას

პოლიციის მოვალეობებში, ბავშვთა ძალადობისგან დაცვასთან ერთად, შედის ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც საზოგადოებას, ან ცალკეულ პირს თავიდან აარიდებს ძალადობას. ამ თავში გაეცნობით საკუთარ უფლებებს იმ შემთხვევაში, თუ პოლიციასთან ურთიერთობა მოგიწიათ .

გამოკითხვა

პოლიციელმა შეიძლება გააჩეროს ქუჩაში არასრულწლოვანი და გამოკითხოს. ეს ხდება მაშინ, როცა პოლიციელს აქვს ამის საფუძველი (მაგალითად, არასრულწლოვანი მიამსგავსა ძებნილს, ან აქვს ინფორმაცია, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული). გამოკითხვისას პოლიციელის უფლებამოსილებები გარკვეული წესებით შემოიფარგლება. არასრულწლოვანს აქვს გარკვეული უფლებები. მან ეს უფლებებიც უნდა იცოდეს და პოლიციელის უფლებამოსილებებიც.

დავალება 3.1

პოლიციელმა გააჩერა არასრულწლოვანი. მონიშნეთ, თქვენი ვარაუდით, ის ქმედებები, რომლის უფლებაც აქვს პოლიციელს და არასრულწლოვანს. კლასთან ერთად პასუხების განხილვის შემდეგ, თითოეული შემთხვევისთვის ჩამოაყალიბეთ ბავშვის უფლებები.

სურ.5

I ფორმიანმა პოლიციელმა გააჩერა არასრულწლოვანი დათო.

პოლიციელი: გამარჯობა, მითხარი შენი გვარი და სახელი!

დათო: რაშია საქმე? რატომ მეკითხებით?

პოლიციელი: არ არის ეგ ბავშვის საქმე!

დათო: არ გიპასუხებთ!

სურ.6

II სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული კაცი აჩერებს ბავშვს.

კაცი: გამარჯობა, მე პოლიციელი ვარ. მითხარი შენი სახელი და გვარი!
ბავშვი: თუ შეიძლება, თქვენი პირადობა მაჩვენეთ!
კაცი: აი, საბუთი, ინებე!
ბავშვი იღებს საბუთს და კითხულობს.
პოლიციელი: რამდენი წლის ხარ?
ბავშვი: 13-ის.
პოლიციელი: ახლა მითხარი სახელი, გვარი და მისამართი.
ბავშვი: დედას დავურეკავ და როცა მოვა, მაშინ გეტყვით.

III ფორმიანმა პოლიციელმა გააჩერა 16 წლის მოზარდი.

პოლიციელი: გამარჯობა, მითხარი სახელი და გვარი.
მოზარდი: შეიძლება გავიგო რაშია საქმე?
პოლიციელი: ერთ ბიჭს ვეძებთ, რომელიც შენ გგავს.
მოზარდი: ლევან გიორგაძე.
პოლიციელი: პირადობის დამადასტურებელი საბუთი გაქვს?.
მოზარდი: დიახ, ინებეთ!
ბავშვი: დედას დავურეკავ და როცა მოვა, მაშინ გეტყვით.

სურ.7

სურ.8

IV ფორმიანმა პოლიციელმა გააჩერა ბავშვი.

პოლიციელი: გამარჯობა, პირადობის დამადასტურებელი საბუთი მაჩვენე.

ბავშვი: ინებეთ!

პოლიციელი: სად მუშაობენ შენი მშობლები?

ბავშვი: დამიბრუნეთ პირადობა. მე უარს ვაცხადებ პასუხზე!

პირის იდენტიფიცირება

პირის იდენტიფიცირება არის პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იძლევა პირის მოკვლევისა და მისი სხვა პირებისგან გამორჩევის საშუალებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირის ვინაობის დასადგენად უტყუარი ნიშნების მოძებნა.

არის შემთხვევები, როცა პოლიციას აუცილებლად ესაჭიროება პირის იდენტიფიცირება. ეს ხორციელდება პოლიციის განყოფილებაში. იდენტიფიცირების დროს პოლიციას გააჩნია თავისი უფლებამოსილებები, არასრულწლოვანს კი –თავის უფლებები.

დავალება 3.2

ა)ქვემოთ მოყვანილი სურათების მიხედვით ჩამოწერეთ იდენტიფიცირების ღონისძიებანი:



სურ.9

ბ) როგორ გესმით არასრულწლოვანის უფლებები იდენტიფიცირების დროს?

იდენტიფიცირების დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- პოლიციელისგან მიიღოს გონივრული ვადა, რომ თავად, ნებაყოფლობით დაადასტუროს საკუთარი ვინაობა;

- უარი თქვას იდენტიფიცირების ღონისძიებების შესახებ შედგენილი ოქმის ხელმოწერაზე, თუ არ ეთანხმება მასში მითითებულ ინფორმაციას.

პირის მოწვევა

არის შემთხვევები, როდესაც პოლიციელს სჭირდება გასაუბრება არასრულწლოვანთან. მას შეუძლია გაუგზავნოს შეტყობინება არასრულწლოვანს და მიიწვიოს ის პოლიციის განყოფილებაში. ამ შემთხვევაშიც არსებობს პოლიციის უფლებამოსილებები და არასრულწლოვანის უფლებები.

დავალება 3.3:

გაეცით პასუხი თითოეული სურათის ქვეშ დასმულ კითხვას



– როგორ ხდება პირის პოლიციაში მიწვევა?

სურ.10

– ვინ ახლავს არასრულწლოვანს მიწვევით გასაუბრებისას?

სურ.11

სურ.12

– პირველ რიგში რა უნდა განემარტოს მიწვეულ პირს?

– რამდენ ხანს შეიძლება გაჩერდეს არასრულწლოვანი პოლიციაში?

სურ.13

სურ.14

– რა შემთხვევაში არ აწერს ხელს გასაუბრების შესახებ შედგენილ ოქმს პირი?

ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება

ზოგ შემთხვევაში პოლიციისთვის მნიშვნელოვანია პირის ზედაპირული შემოწმება, რაც გულისხმობს ტანსაცმლის გარე ზედაპირის დათვალიერებას, შეხებას ხელით ან სპეციალური ხელსაწყოთი. ამ მიზნით ბავშვი შეიძლება შეაჩერონ არაუმეტეს 30 წუთისა. ზედაპირული შემოწმების და დათვალიერების შესახებ დგება ოქმი.

დავალება 3.4

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ უნდა ჩაატაროთ პირის ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება და შედეგი დააფიქსიროთ წერილობით. როგორ ფიქრობთ, რის უფლება აქვს ამ დროს არასრულწლოვანს?

ადმინისტრაციული დაკავება

ადმინისტრაციულ დაკავებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არასრულწლოვანის მიერ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის შემთხვევაში. თუ პოლიციელი შეესწრო ხულიგნობას, საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად მას შეუძლია წაიყვანოს არასრულწლოვანი პოლიციის განყოფილებაში.

დავალება 3.5

დღისით, სკოლის მახლობლად, სკვერში ბევრ ხალხს მოეყარა თავი. იქ თამაშობდნენ პატარა ბავშვები, რომლებიც მშობლებთან, ძიძებთან ან ბებიებთან ერთად იყვნენ მოსულნი, ხანში შესული ადამიანები, რომლებიც ერთმანეთში საუბრობდნენ და ხუთი არასრულ-

წლოვანი ბიჭი, რომლებიც რაღაცაზე კამათობდნენ. კამათი შელაპარაკებაში, ხოლო შემდეგ ლანძღვა-გინებაში გადაიზარდა. დათომ და ანდრომ ერთმანეთზე გაიწიეს, დანარჩენები კი მათ გაშველებას ცდილობდნენ. პოლიციამ დააკავა 16 წლის დათო და ანდრო და წაიყვანა განყოფილებაში. დანარჩენები გაიქცნენ.

რას ურჩევდით მათ საკუთარი უფლებების დასაცავად?

დავალება 3.6

დაფიქრდით და გაეცით პასუხი კითხვებზე: რა ვისწავლე? რა მინდა ვისწავლო?

დაიმახსოვრეთ!

გამოკითხვა და მოწვევაზე მისვლა ნებაყოფლობითია.

14 წლამდე არასრულწლოვანის გამოკითხვა შეიძლება მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით.

პოლიციის მიერ ყველა სხვა ღონისძიების გატარებისას მოითხოვეთ მშობლის დასწრება. ყველა შემთხვევაში ყურადღებით წაიკითხეთ ოქმი და ნუ მოაწერთ მასზე ხელს, თუ არ ეთანხმებით მასში მითითებულ ინფორმაციას.

გაკვეთილი 4

დანაშაული და საგამოძიებო მოქმედებები

ამ თავში გაეცნობით რა უფლებები აქვს არასრულწლოვანს დანაშაულის გამოძიების დროს. დანაშაულად ითვლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედებები. მაგალითად, ქურდობა, მკვლელობა, ძარცვა, ცემა და სხვა.

დანაშაულის სავარაუდო ჩადენის შემთხვევაში იწყება გამოძიება. საგამოძიებო მოქმედებებია: გამოკითხვა, მოწმედ დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა და სხვა. ყველა ამ მოქმედებას არასრულწლოვანის შემთხვევაში ბავშვთა უფლებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული წესები აქვს. აუცილებელია ამ წესებისა და უფლებების ცოდნა, ვინაიდან შეიძლება დაირღვეს არასრულწლოვნის უფლებები.

არასრულწლოვანი შეიძლება იყოს მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული.

საგამოძიებო მოქმედებების დროს არასრულწლოვანის უფლებების დამცავი წესები მოცემულია „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281

დავალება 4.1

გაეცანით ტექსტს „სპორტულ მაღაზიაში“. მოიფიქრეთ, როგორ გაითამაშებთ თქვენთვის მოცემულ სცენას თქვენი როლიდან გამომდინარე.

სპორტულ მაღაზიაში

თედო სპორტულ მაღაზიაში შევიდა ჩაფხუტის საყიდლად. მის კვალდაკვალ მაღაზიაში შემოვიდა ანი. ანი თედოს ნაცნობი იყო, თუმცა არ მისალმებია, რადგან დილით უკვე ნანახი ჰყავდა. ვიდრე თედო ჩაფხუტს ირჩევდა და გამყიდველს ესაუბრებოდა, დაინახა, რომ ანი ჩოგანს ათვალიერებდა. ანი მაღაზიიდან გავიდა. თედო კიდევ ეცადა ჩაფხუტის მორგებას, მაგრამ ვერ მოირგო. მაღაზიიდან გასვლისას შეამჩნია, რომ ჩოგანი თაროზე აღარ იყო.

დავალება 4.2

გაეცანით ტექსტს „დანაშაული და პასუხისმგებლობა“

კოტე და ნიკა 17 წლის მოზარდები არიან. ერთ დღეს მათ ორი მაღაზიიდან თითო ბოთლი ძვირადღირებული სასმელი მოიპარეს. იმ საღამოს მათი მეგობრის დაბადების დღე იყო და გადაწყვიტეს, იქ წაეღოთ. კოტე მთელი საღამო ცუდ გუნებაზე იყო, შემდეგ რაღაც საქმე მოიმიზეზა და ადრე დატოვა წვეულება. ნიკაც თან გაჰყვა. ჩადენილი დანაშაული ორივეს აწუხებდა,

მაგრამ გამოსავალს ვერაფერში ხედავდნენ. რამდენიმე დღეში ნიკაც და კოტეც დააკავეს. აღმოჩნდა, რომ კამერებს დაუფიქსირებიათ ქურდობა.

თქვენი აზრით, რა გაგრძელება მოჰყვა ამ ამბავს? შეგახსენებთ, რომ ქურდობა სისხლის სამართლის დანაშაულია და არასრულწლოვანს სისხლის სამართლის დანაშაულზე პასუხისმგებლობა 14 წლიდან ეკისრება.

სისხლის სამართლის პროცესი და ბავშვის უფლებები

არასრულწლოვანს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს 14 წლიდან, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა - 16 წლიდან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დანაშაულად ითვლება ქურდობა, მკვლელობა, ძარცვა, ცემა და სხვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრულია არასრულწლოვანის უფლებები საგამოძიებო საქმიანობის მიმდინარეობისას და წესები, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს არასრულწლოვანის უფლებების დაცვას, პოლიციასთან, ადვოკატებთან, სოციალურ მუშაკთან, მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან და სისხლის სამართლის პროცესში ჩართულ სხვა პირთან ურთიერთობის დროს.

დანაშაულის სავარაუდო ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში იწყება გამოძიება, რომელიც მოიცავს შემდეგი სახის მოქმედებებს: გამოკითხვა, მოწმედ დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა და სხვა.

დაიმახსოვრეთ!

არასრულწლოვანის დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო პროკურორის მიმართვის შემდეგ. თუმცა, შესაძლებელია, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც მოხდეს არასრულწლოვანის დაკავება თუ:

- წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- ბავშვი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას;
- ბავშვზე ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბავშვი მიიმალა, მაგრამ შემდეგ თვითმხილველმა ამოიცნო;
- ბავშვი შესაძლოა მიიმალოს;
- ბავშვი ძებნილია.

დაკავების დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს:

- დაუყოვნებლივ გააცნონ საკუთარი უფლებები;
- მოითხოვოს და დაუკავშირდეს ადვოკატს; გადახდის უუნარობის შემთხვევაში საადვოკატო მომსახურებას უფასო იურიდიული სამსახური გაწევს;
- დაკავების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს ან ახლობლებს;
- არ დაიბრალოს დანაშაული; თავი შეიკავოს კითხვებზე პასუხის გაცემისაგან, გამოიყენოს დუმილის უფლება;
- საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღოს სამედიცინო დახმარება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. მისი ეს უფლება დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ ჩაიტაროს სამედიცინოო შემოწმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ;

- საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

- არ მიიღოს მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში, რაც ვერ შეფასდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად;

- დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსების შემთხვევაში სრულწლოვანებისგან განცალკევებით მოთავსდეს.

თუ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის ძალიან მძიმე და ის აღიარებს დანაშაულს, შესაძლებელია, პროკურორმა შესთავაზოს განრიდება. ამით არასრულწლოვანს ეძლევა შანსი, გარკვეული მოთხოვნების შესრულების სანაცვლოდ ცხოვრება გააგრძელოს ნასამართლეობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება. განრიდება მაქსიმალურად ითვალისწინებს არასრულწლოვანი დამნაშავისა და დაზარალებულის ინტერესებს. მისი მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

განრიდების პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ არასრულწლოვნებს 14-დან 18 წლამდე და ასევე 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდებს თუ მათ ჩადენილი აქვთ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

გაკვეთილი 5

მიმართვის უფლება ბავშვთა უფლებების დარღვევის დროს

ბავშვთა უფლებების დარღვევის თაობაზე ბავშვმა შესაძლოა მიმართოს სასამართლოს. ეს ხდება მისი მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს[6] მეშვეობით. რაიონული (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში და შემდეგ უზენაეს სასამართლოში. ბავშვის უფლებათა დარღვევის შესახებ, აგრეთვე, შეიძლება, ეცნობოს სახალხო დამცველს. ქვეყნის შიგნით ყველა საშუალების ამოწურვის შემდეგ, შეიძლება საჩივრის შეტანა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში, რომელიც საერთაშორისო ორგანოს წარმოადგენს.

სახალხო დამცველის აპარატი → რაიონული (ქალაქის) სასამართლო → სააპელაციო სასამართლო → უზენაესი სასამართლო → ბავშვთა უფლებების კომიტეტი

დავალება 5.1

განიხილეთ ჯგუფებში თითო ტექსტი და წარმოადგინეთ კლასის წინაშე.

1. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

საქართველოში ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში მისი მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენლები საჩივრით მიმართავენ სასამართლოს.

თუ საქმე ეხება ბავშვს, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 7 წელი და სასამართლო საჭიროდ ჩათვლის, მას შეუძლია ჩართოს ბავშვი საქმის განხილვაში.

თუ საქმე ეხება ბავშვს, რომლის ასაკი 7-17 წელია, სასამართლო ვალდებულია ჩააბას ბავშვი საქმის განხილვაში (ბავშვის რომელი უფლების თანახმად?).

თუ ბავშვის უფლებებს არღვევენ მისი მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

არსებობს ორი გამონაკლისი, როცა ბავშვს თვითონ აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება:

- თუ ბავშვს კანონიერი წარმომადგენლის მიერ 16 წლის ასაკიდან მინიჭებული აქვს საკუთარი ქონების განკარგვის უფლება, მას შეუძლია თავად მიმართოს სასამართლოს ქონებასთან დაკავშირებული უფლებების დასაცავად.

- 14 წლის ასაკიდან ბავშვს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თუ მისი მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები არღვევენ მის უფლებებს.

სქემატურად სასამართლოსთვის მიმართვა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

6 **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო -** სოციალური მომსახურების სააგენტო

სასამართლოსთვის მიმართვის უფლების სქემა.



2. საქმის განხილვა სასამართლოში

პირველი ინსტანციის სასამართლო არის რაიონული (საქალაქო) სასამართლო. სასამართლო საქმეს განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი შედგენილია სწორად, ფორმის მიხედვით. არასრულწლოვანმა ან მისმა მშობელმა უნდა მიმართონ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ბავშვთა უფლებებზე მუშაობს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება – უზენაეს სასამართლოში.

სარჩელის შეტანისას მოქალაქეები იხდიან გადასახადს, რომელსაც ჰქვია ბაჟი. თუ სარჩელი შეაქვს არასრულწლოვანს (თვითონ ან მის კანონიერ წარმომადგენელს) ის თავისუფლდება ბაჟის თანხის გადასახადისგან.

3. სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება და ფორმები

სასამართლო პროცესში ბავშვის მონაწილეობა ხდება იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც ეხება ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვას. მაგალითად, მშობლების განქორწინების დროს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა მოისმინოს ბავშვის აზრი.

არასრულწლოვანი შეიძლება სასამართლო პროცესში მონაწილეობდეს მოწმის სახით. თუ მას ჯერ არ შესრულებია 16 წელი, დაკითხვის შემდეგ ის ტოვებს დარბაზს. თუმცა, შესაძლებელია, რომ სასამართლომ საჭიროდ ჩათვალოს მისი დარბაზში ყოფნა.

თუ მოწმე 16 წლისაა ან მეტის, მან უნდა დადოს ფიცი ჩვენების მიცემამდე. ასაკით უფრო პატარა მოწმე თავისუფალია ფიცის დადებისგან. არასრულწლოვანთა მონაწილეობისას სასამართლო პროცესი მიმდინარეობს დახურულ სხდომებზე.

4. საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ყველა ტიპის დაწესებულებაში. ის ავლენს დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეულ უფლებათა აღდგენას. სახალხო დამცველის აპარატში არის ბავშვის უფლებათა ცენტრი, რომელიც ბავშვის უფლებებს იცავს. სახალხო დამცველის აპარატს შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა არასრულწლოვანმა. ამისათვის მან უნდა დარეკოს ცხელ ხაზზე – 1481 ან დაწეროს განცხადება სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მისაღებში. განცხადება სახალხო დამცველის აპარატს, აგრეთვე, შეიძლება გაეგზავნოს ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით.

5. იურიდიული დახმარების სამსახური

იურიდიული დახმარების სამსახური არის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც უფასო სამართლებრივ დახმარებას უწევს მოსახლეობას. მთელ საქართველოში არის მისი ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები.

უფასო იურიდიული დახმარება გულისხმობს შემდეგ მომსახურებას:

- უფასო კონსულტაცია ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე;
- სამართლებრივი დოკუმენტების შედგენა;
- ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდებული და დაზარალებული არასრულწლოვნებისთვის, გადახდისუუნარობის შემთხვევაში, მოწმე არასრულწლოვნებისთვის, ასევე, გამონაკლის შემთხვევებში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ

გავლილი გაკვეთილების განმავლობაში თქვენ გაიგეთ, თუ რა უფლებები აქვს ბავშვს და ვის უნდა მიმართოს არასრულწლოვანმა თავისი უფლებების დასაცავად. ყველა საფეხური განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და გულისხმობს მიმართვიანობის უფლებას საქართველოს ფარგლებში.

2011 წლის 19 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3580102

ეს ოქმი ძალაში შევიდა 2014 წლის 14 აპრილს. მასში განსაზღვრულია, თუ როგორ მიმართოს ბავშვთა უფლებების კომიტეტს ბავშვმა პირადად და მისმა დამცველმა ბავშვის უფლებათა დაცვის მიზნით. კონვენციის დამატებითი ოქმის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს აღნიშნული დამატებითი ოქმი. საქართველომ მესამე დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა 2016 წლის დეკემბერში, რაც ნიშნავს იმას, რომ ოქმი იურიდიული ძალის მქონეა და ოქმით გათვალისწინებული მიმართვიანობის/გასაჩივრების მექანიზმი შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა/მყოფმა ნებისმიერმა ბავშვმა. დამატებითი ოქმის გამოყენებით, ბავშვს უფლება აქვს მიმართოს კომიტეტს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, რა დროსაც მოპასუხე მხარე იქნება საქართველოს სახელმწიფო. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ კომიტეტს შეიძლება წარედგინოს სარჩელი მხოლოდ იმ დარღვევებზე, რომელიც ჩადენილია მესამე დამატებითი ოქმის მიღების შემდეგ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა დარღვევა განგრძობადია.

კომიტეტი 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფია, რომელიც ამოწმებს სახელმწიფოებსა და მთავრობებს, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ისინი ბავშვის უფლებათა კონვენციით განსაზღვრული უფლებების დაცვას. ეცნობიან სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს. მესამე დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ შესაძლებელი გახდა არასრულწლოვანმა (ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა) მიმართოს კომიტეტს სარჩელით/განცხადებით უფლებათა დარღვევის შესახებ. კომიტეტმა შეიმუშავა გარკვეული წესები მიმართვიანობასთან დაკავშირებით.

- სარჩელი კომიტეტში შესაძლოა წარადგინოს კერძო პირმა ან პირთა ჯგუფმა, რომლებიც თვლიან, რომ არიან ბავშვის უფლებათა კონვენციის ან/და დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებების დარღვევის მსხვერპლები.

- სარჩელი უნდა იყოს შესრულებული წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი მოსარჩელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

- ყველა შიდა საშუალება (სახალხო დამცველისთვის მიმართვა, სასამართლოს ყველა ინსტანციისთვის მიმართვა) უნდა იყოს ამოწურული;

- შიდა საშუალებების ამოწურვიდან არ უნდა იყოს გასული ერთ წელიწადზე მეტი;

- კომიტეტი არ განიხილავს განმეორებით მიმართვას.

- კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

- საჩივარი/განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კომიტეტის სამდივნოში შემდეგ მისამართზე:

  ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC)
  ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების განყოფილება (HRTD)
  ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)
  UNOG-OHCHR
  CH-1211 Geneva 10 (Switzerland)
  TEL.: +41 22 917 91 41
  FAX: +41 22 917 90 08
  E-MAIL: crc@ohchr.org

კომიტეტის გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო. ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა.

თუ კომიტეტმა დაადასტურა უფლებათა დარღვევის ფაქტი, გადაწყვეტილებაში ის განუმარტავს სახელმწიფოს უფლებათა შინაარსს და აზუსტებს მის ვალდებულებებს. ამ გადაწყვეტილების აღსრულება კი სახელმწიფოსთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანია. მე-3 დამატებითი ოქმის თანახმად, კომიტეტი აკვირდება გადაწყვეტილების აღსრულებას სახელმწიფოში.

დავალება 5.2

ვისი საქმე იქნება მიღებული კომიტეტის მიერ განსახილველად?

ა) თამარი თვლის, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მასზედ რომ მისი უფლებები არ დარღვეულა, უსამართლოა. მან გადაწყვიტა მიმართოს კომიტეტს.

ბ) 2014 წლის იანვარში უზენაესმა სასმართლომ არ სცნო გიორგი უფლებათა დარღვევის მსხვერპლად. გიორგის მშობლებმა გადაწყვიტეს კომიტეტში სარჩელის შეტანა 2014 წლის აგვისტოში.

გ) 2017 წლის აპრილში, უზენაესმა სასამართლომ არ ჩათვალა საკმარისად წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ ჩათვალა უფლებათა დარღვევის მსხვერპლად არასრულწლოვან-

თა სამი ჯგუფი. მათ შეიტანეს სარჩელი კომიტეტში 2017 წლის ივნისში.

ე) მას შემდეგ, რაც ყველა შიდა საშუალება ამოიწურა, 2016 წლის აგვისტოში კომიტეტში გაგზავნილი იქნა სარჩელი.

დავალება 5.3

დაფიქრდი, რა ისწავლე და რა კითხვებზე დაგრჩა პასუხი გაუცემელი.

დაიმახსოვრეთ!

არასრულწლოვანს შეუძლია მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მეშვეობით მიმართოს სასამართლოს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

არასრულწლოვანს შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი მიიღებს საქართველოდან განსახილველად საქმეს, რომელიც ეხება დარღვევას, ჩადენილს 2016 წლის დეკემბრის შემდეგ, განხილულია ყველა ადგილობრივ ინსტანციაში და ბოლო განხილვოდან არ არის გასული 1 წელიწადზე მეტი.